# ფაქტობრივი ინფორმაცია შედეგების შესახებ

## COVID-19 პანდემიის დროს მიღებული ზომები პანდემიის გავლენის შესამცირებლად

**2020 წლის სექტემბერი**

### პრიორიტეტი მიენიჭა სამაგიდო მუშაობას:

- სამართლებრივი ექსპერტიზით უზრუნველყოფილი იქნა სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა, სასამართლო და სისხლის სამართლის სფეროებში.
- ვენეციის კომისიის მიერ, წერილობითი პროცედურის საფუძველზე მიღებული იქნა 1 მოსაზრება და 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
- სომხეთში, მოლდოვას რესპუბლიკაში და უკრაინაში მომზადდა კვლევები მონაცემთა შეგროვების შესახებ.

### განხორციელდა ონლაინ აქტივობები:

- COVID-19-ის პერიოდში, ადამიანის უფლებების სწავლება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის (HELP) ღონისძიებების ფარგლებში რეგიონში მომზადდა და ამოქმედდა 5 სასწავლო კურსი. 2020 წლის მარტის შუა რიცხვებიდან მომხმარებელთა რაოდენობა **22%**-ით გაიზარდა.
- სომხეთში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაში სამართლის **60** სპეციალისტს ჩაუტარდა ონლაინ სწავლება.
- სამოქალაქო მართლმსაჯულების სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებს ონლაინ ტრენინგების საშუალებით გაეცნო **187** სტუდენტი ბელარუსიიდან.
- მომზადდა 2 ინფოგრაფიკა კარანტინის დროს სომხეთის სავალდებულო აღსრულების სამსახურის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და საგადასახადო დავალიანების ახალი ელექტრონული პლატფორმის შესახებ.

### COVID-19-თან დაკავშირებულ საჭიროებებზე უკეთმორგების მიზნით, განხორციელდა ცვლილებები გარკვეულ აქტივობებში

- COVID-19-ის პირობებში მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით საქმისწარმოების სისტემაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, რათა საქართველოს მოქალაქეებმა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმოება ელექტრონულად შეძლონ საჩივრების შეტანა ელექტრონულად შეძლონ.
- აზერბაიჯანისა და მოლდოვას რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ იმ ზომებს, რომელთა განხორციელებაც საჭიროა პანდემიის პირობებში სასამართლოს ეფექტურობისა და ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.



ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო



### PGG პროგრამაზე დამატებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პანდემიის გავლენის შესამცირებლად ევროპის საბჭოს მიერ განხორციელებული ზომების მაგალითები

- სამედიცინო მატერიალური და პერსონალური დამცავი აღჭურვილობა გადაეცა პენიტენციურ დაწესებულებებს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკაში.
- პენიტენციურ დაწესებულებაში ჯანდაცვის კრიზისის მართვის შესახებ სახელმძღვანელო და ლიფლეტი COVID-19-ის პირობებში თავისუფლებააღკვეთილი პირების მკურნალობის შესახებ ითარგმნა უკრაინულენაზე.
- სომხეთის მთავრობის წარმომადგენლის ოფისი გაეცნო ინფორმაციას თავისუფლების და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების შესახებ და საგანგებო მდგომარეობის დროს ამ უფლებებზე შეზღუდვების დაწესების თაობაზე.
- უკრაინასა და საქართველოში განხორციელდა კრიზისის პირობებში უფრო მეტად პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტური გაშუქების ხელშეწყობა.
- უკრაინაში ბოშებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სანიტარული ნაკრებები.
- **COVID-19** პანდემიისა და სანიტარული ზომების შესახებ ინფორმაცია ითარგმნა უმცირესობების ენებზე საქართველოსა და უკრაინაში.
- ევროპის საბჭოს განცხადებები COVID-19 პანდემიის კონტექსტში პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების და კონტაქტების ციფრული საშუალებებით მოძიების შესახებ ითარგმნა უკრაინულენაზე და წარედგინა ომბუცმენის ოფისს. მომზადდა რეკომენდაციები უკრაინაში COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ამოქმედებული მობილური აპლიკაციების მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო მცირე გრანტი, რომლის მიზანია *pro bono* იურიდიული მომსახურების გაწევა სოციალურად მოწყვლადი მარტოხელა მშობლებისთვის, რომელთაც COVID-19-ის კრიზისმა ეკონომიკური ზიანი მიაყენა.
- საქართველოში 96,000 მომხმარებლისგან შემდგარი აუდიტორიისთვის ჩატარდა 6 სესია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ:
https://pjp-eu.coe.int/en/web/pgg2/home

LIVE **PGG** საპანელო დისკუსია პირდაპირ ეთერში: **“COVID-19**-ზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და ნასწავლი გაკვეთილები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ – **2020** წლის **7** ოქტომბერი **10:30-12:00 CET**

საკონტაქტო ინფორმაცია: Ogdp_pgg@coe.int
@partnershipgovernance
@CoeEapPCF

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო